

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ზურაშვილის ანგარიში 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩემო თანასოფლელებო, მოგესხენებათ 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად თქვენს მიერ არჩეული ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრად .

საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას 2021 წლის 3 დეკემბერს შეუდგა და საკრებულოს პირველ სხდომაზე გამომიცხადა უდიდესი ნდობა . ამირჩია საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში წევრად ფრაქციამ „ქართული ოცნება“ წარმადგინა საკრებულოს ფრაქციებისთვის განსაზღვრული პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების ფარგლებში.

საკრებულოს წევრად ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა . მისი მთავარი მიმართულება ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნებაა.

მე ვარ თქვენი ხმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში, რაც უდიდესი პასიხისმგებლობაა ჩემთვის.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 13 სხდომა. ვესწრებოდი 12-ს. საპატიო მიზეზიათ არ დავესწარი 1-ს . აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემს მიერ მხარდაჭერილ იქნა, როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

საკრებულოს სხდომაზე თანამომხესენებელი ვიყავი 14 საკითხზე.

ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება“ 11 სხდომა, ვესწრებოდი 11-ს.

როგორც მოგახსენეთ, საკრებულოში ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 8 წევრით. ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა კომისიის 9 სხდომა, სადაც განხილულ იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საკითხები.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს კონტროლს . ამ

მიზნით ჯერ კომისიამ, ხოლო შემდგომში საკრებულომ , მოისმინა და შეაფასა მერიის თანანმდებლობის პირის, მერიის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიში , რაც შეეხება კომუნალური მომსახურების საკითხებს, ამ კუთხით ა.(ა) ი.პ. „კომუნალური -1“-ის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშს 2023 წლის პირველ კვარტალში მოვისმენთ და შევაფასებთ.

კომისია ამჟამად აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში შემოსულ ინიციატივაზე, მუნიციპალიტეტში იუსტიციის სამინისტროს მიერ დამისამართებული ქუჩების სახელდების შესახებ. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #239-ე დადგენილების მიხედვით, კომისიის მიერ შემუშავებული გრაფიკით ვახორციელებთ სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრებს, რათა მათთან უშუალო კონსულტაციით უზრუნველყოთ მოქალაქეთა ინტერესის გამოხატვა და აქტიური მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტაში.

როგორც ზემოთ ავღნიშნე ვარ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრიც . საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე კომისიის 7 სხდომაში, მომზადდა კომისიის მიერ შესაბამისი დასკვნები , რომელიც წარედგინა საკრებულოს ბიუროს .

ამჟამად მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტზე, რომელიც პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად საკრებულოს 15 ნოემბრამდე უნდა წარმოუდგენოს . კანონმდებლობის მიხედვით მოხდება მისი განხილვა კომისიებში და დამტკიცდება საკრებულოს სხდომაზე. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ დატვირთული და საქმიანი იქნება ეს პერიოდი როგორც კომისიებისთვის, ასევე მაჟორიტარი დეპუტატებისთვის , რადგანაც ყველას მაქსიმალურად გვინდა დავიცვათ თქვენი ინტერესი 2023 წლის მთავარ დოკუმენტში.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. მაგალითად, მუდმივად ვახდენ მათი პრობლემებიდან პრიორიტეტული საკითხების წამოწევას წინა პლანზე, რაც ძირითადად მდგომარეობს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას. ჯანდაცვის საკითხებს, სასოფლო - სამეურნეო სავარგულეზამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სარწყავი სისტემის სრულყოფას და გამართულ მუშაობას, სოფელში სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ჩემი ინიციატივით ჩატარდა ფეხბურთის ტურნირი უბნებს შორის, რამაც ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა სოფლის ახალგაზრდობაში. მომავალ თვეში დაგეგმილი გვაქვს ანალოგიური ტურნირი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების პროგრამით სოფ.ძვ.ანაგაში ისარგებლა 63-მა მოქალაქემ და მათზე დაიხარჯა 26550 ლარი. კერძოდ:

- 1) სამედიცინო დახმარების მუხლი (37 ბენეფიციარი) – 21000 ლარი.
- 2) შშმ პირთა სოციალური დაცვა (3 ბენეფიციარი) – 400 ლარი.
- 3) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (2 ბენეფიციარი) – 400 ლარი
- 4) განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (17 ბენეფიციარი) – 2250 ლარი.
- 5) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მხრიდან (1 ბენეფიციარი) – 150 ლარი.
- 6) მარტოხელა და მარჩენალ დაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (1 ბენეფიციარი) – 100 ლარი.
- 7) სოციალურად დაუცველი სტუდენტების, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის სტუდენტების დახმარება (2 ბენეფიციარი) 2250 ლარი.

2021 წლის 29 ნოემბრიდან 2022 წლის 28 იანვრის პერიოდში სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი დაფინანსების 135030 ლარის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ძვ.ანაგის საჯარო სკოლის კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტი მოიცავდა 6100 მ²- ზე მწვანე საფარის მოწყობას და სარწყავი სისტემის მონტაჟს, საფეხმავლო ბილიკების მონტაჟს და 120 მ² ასფალტ - ბეტონის საფარის მოწყობას.

კომპანია „გაერთიანებული წყალმომარაგების“ მიერ დამონტაჟდა სამელი წლის სატუმბი სადგური (ბურღი), რამაც ფაქტიურად აღმოფხვრა სოფელში 24 სთ-იანი წყალმომარაგების პრობლემა.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ჩვენი კოორდინირებული მუშაობით სოფელში განხორციელდა რამდენიმე მცირე პროექტი:

- 1) გაიწმინდა სოფლის სავარგულეებში მისასვლელი გზების ნაწილი.
- 2) ფაქტიურად ხელახლა გაკეთდა „ვანაანიდან“ ვენახებში მიმავალი გზის გარკვეული მონაკვეთი.
- 3) გაიწმინდა ქუჩებში არსებული ძველი სანიაღვრე სისტემები.
- 4) სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით მიმდინარეობს სოფლის სასაფლაოების ტერიტორიის გაწმენდა და შემოღობვა (ფანიანში კარების შეცვლა, ქედელში კარების აღდგენა).
- 5) მოიხრემა სარწყავი არხის ზემოდან არსებული დაზიანებული გზის გარკვეული მონაკვეთი.
- 6) ნაალაზნევის ტერიტორიიდან სოფლის სამოვრებამდე გაკეთდა გზა, რომელიც თითქმის აღარ არსებობდა.
- 7) გაიწმინდა სოფლის შემოსასვლელში არსებული მოედანი, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა არის სავალალო მდგომარეობაში.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 3333631 ლარის ფარგლებში 2021 წლის 13 დეკემბრიდან დღემდე სოფელში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს 80 ბავშვზე გათვლილ ევროსტანდარტების, შშმ პირებზე ადაპტირებულ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობას, ეზოს კეთილმოწყობას და გასართობი სივრცის მოწყობას. აღნიშნული პროექტის დასრულების სავარაუდო ვადაა 2023 წლის 28 თებერვალი.

2022 წელს სოფ. ძვ.ანაგაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 43884 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები. პროექტი მოიცავს კულტსახლის ეზოს შემოღობვას და სამამულო ოქში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაციას. ამ ეტაპისთვის შერჩეულია რამოდენიმე სამშენებლო კომპანია, სამუშაოები წარდგენილია ბაზრის კვლევაზე, მიმდინარეობს გამარტივებული გზით ხელშეკრულების გაფორმებისათვის მოსამზადებელი პროცესები. აღნიშნული სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადაა 30 დეკემბერი.

როგორც საკრებულოს წევრი, როგორც კომისიის თავმჯდომარე ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან , მუნიციპალიტეტის მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან , რომელთაც თქვენი სახელით მინდა მოვუხადო მადლობა სოფელში საანგარიშო პერიდში განხორციელებული, ამჟამად მიმდინარე , დაუსრულებელი პროექტებისთვის და ვთხოვო ანალოგიური მხარდაჭერა მომავალშიც.

საარჩევნო ვადაში სურვილი მაქვს , ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, ვთანამშრომლო ახალგაზრდებთან ნებისმიერ ინიციატივაზე და ხელი შევუწყო მათ ჩართულობას ადგილობრივი მმართველობის განვითარებაში.

ირაკლი ზურაშვილი